საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

ბრძანება N 37

06.04.2022

ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს, მიმდინარე წლის 08 აპრილს, თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, პროტოკოლით გათვალისწინებული საჩუქრების შეძენა.

2. ხარჯები ანაზღაურდეს 2022 წლის წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ერთი თვის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №64).

სოსო რამიშვილი

სამსახურის უფროსი